პროექტი

საქართველოს კანონი
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში
ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N41(48), 1999 წელი, მუხ. 209) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სოციალური დაცვის ღონისძიება გამოიყენება მხოლოდ იმ კანონის საფუძველზე, რომელიც მოქმედებს სასამართლოში საქმის გადაწყვეტის დროს.“.

2. XV[1] თავის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის XV[2] თავი:

„თავი XV[2]

საქართველოდან გასვლის აკრძალვა

მუხლი 79[6]. საქართველოდან გასვლის აკრძალვის მიზანი

საქართველოდან გასვლის აკრძალვის მიზანია პირის მიერ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის თავის არიდების პრევენცია.

მუხლი 79[7]. საქართველოდან გასვლის აკრძალვა

1. საქართველოდან გასვლის აკრძალვა ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მოქალაქე და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი მოვალეა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანი დაზარალებულს აუნაზღაუროს გონივრულ ვადაში და არ დატოვოს საქართველოს ტერიტორია.
2. საქართველოდან გასვლის აკრძალვის ვადა განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის კატეგორიისთვის ამ კოდექსის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისი „ბ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტით ნასამართლობის გაქარწყლებისთვის დადგენილი ვადის გაორმაგებით.
3. საქართველოდან გასვლის აკრძალვა შეიძლება დაინიშნოს სასჯელის ან პირობითი მსჯავრისგან დამოუკიდებლადაც.

4. საქართველოდან გასვლის აკრძალვა იმ შემთხვევაშიც შეიძლება დაინიშნოს, თუ პირი სასჯელისგან სრულად გათავისუფლდება.

5. საქართველოდან გასვლის აკრძალვის დანიშვნა შეიძლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ჩადენილი დანაშაულისთვის სოციალური დაცვის ღონისძიებად არ არის მოცემული ამ კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის მუხლში.

6. საქართველოდან გასვლის აკრძალვა აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით.

მუხლი 79[8]. საქართველოდან გასვლის აკრძალვის საფუძველი

1. საქართველოდან გასვლის აკრძალვა ინიშნება ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით, 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, 181-ე მუხლის მე-ე ნაწილის „გ" ქვეპუნქტით, 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, 183-ე მუხლით, 185-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტით, 187-ე მუხლით, 215-ე მუხლით, 219-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, 259[2] მუხლით, 259[4] მუხლით ან 397-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას და თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ დამნაშავე თავს აარიდებს დანაშაულით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას.

2. საქართველოდან გასვლის აკრძალვის დანიშვნისას სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პიროვნებას, მის წარსულს, პირად და ეკონომიკურ პირობებს, დანაშაულის შემდგომ ქცევას, მის მზაობას, რათა გონივრულ ვადაში აანაზღაუროს ზიანი და შეურიგდეს დაზარალებულს.

3. საქართველოდან გასვლის აკრძალვა არ ინიშნება, თუ დაზარალებული წერილობით უარს განაცხადებს მისთვის ზიანის ანაზღაურებაზე.

4. თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ პირის შერაცხადობა გამოირიცხება ამ კოდექსის 34-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოდან გასვლის აკრძალვის მოხდა შეჩერდება მის გამოჯანმრთელებამდე.

5. თუ დანაშაულის განხორციელებაში ერთზე მეტი პირი მონაწილეობდა, მათ ეკისრებათ ზიანის სოლიდარულად ანაზღაურების ვალდებულება.

მუხლი 79[9]. საქართველოდან გასვლის აკრძალვის მოხდისგან გათავისუფლება

1. მსჯავრდებული საქართველოდან გასვლის აკრძალვის მოხდისგან გათავისუფლდება, თუ:

ა) მსჯავრდებულმა სრულად აანაზღაურა ზიანი;

ბ) დაზარალებული წერილობით უარს განაცხადებს მისთვის ზიანის ანაზღაურებაზე;

გ) დაზარალებული თანახმაა, რომ მსჯავრდებულს მოეხსნას საქართველოდან გასვლის აკრძალვა და გაურიგდება მას ზიანის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებზე.

2. ნასამართლობის მოხსნა ან გაქარწყლება არ ათავისუფლებს პირს საქართველოდან გასვლის აკრძალვის მოხდისგან.".

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყველაშვილი**